№ 180
1877

# ივერია

№ 180
1903

აგვისტოს 23, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 23, შაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კვირას, 24 აგვისტოს, დილის 11 საათზე, გარდაცვალების ორმოცი დღის თავზედ

**დარია ილიას ასულის ხარაევისა,**

კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთში, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მიცვალებულისა **ილია მიხეილის ძე ხარაევი** შვილებით. (1—187—1)

**საბუღალტერო კლასები**

**ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა**

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—8)

**გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი,** რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყკანს აგრეთვე შესანახდაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—4)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**წიგნის ისტორია**

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

**რობინზონ კრუზე**

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

**ახალშენიშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½ -8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. (წლ.)

**ს ი ა**

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1—21 აგვისტომდე:

| №№ | სახელი და გვარი | მ. | კ. |
|---|---|---|---|
| 300 | ივანე ნაკაშიძე | 6 | — |
| 301 | დიმიტრი ახველდიანი | 6 | — |
| 302 | მიხეილ ა. გედევანიშვილი | 6 | — |
| 303 | ალექ. მ. ბერელაშვილი | 6 | — |
| 304 | ნესტორ ი. აბაშიძე | 6 | — |
| 305 | ლევან აბდუშელიშვილი | 6 | — |
| 306 | ლადო ს. კორძაია | 6 | — |
| 307 | ალექსანდრე ლ. გოცირიძე | 6 | — |
| 308 | ნიკო თ. დეკანოზიშვილი | 6 | — |
| | | 54 | — |
| | სულ წლის განმავლობაში | 2325 | 35 |

# ტფილისი

მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა მეუღლითურთ, 21 აგვისტოს, დაათვალიერა სახაზინო თეატრი და ყოველივე ახალი მოწყობილება. უმთავრესი ყურადღება მისმა ბრწყინვალებამ მიაქცია ცეცხლის მქრობელ მანქანებს. მისის ბრძანებისამებრ, სცენაზე ერთს წუთში ისეთი წვიმა დაუშვა, რომ კაცს ეგონებოდა მართლა ჭერი გაირღვაო. მთავარ-მართებელი დარწმუნდა, რომ თეატრი უზრუნველ-ყოფილია ცეცხლისაგან, და ყოველივე მოიწონა.

ტფილისის პოლიციის მოხელეთ ჯამაგირად მომავალ წლისათვის გადადებულია ქალაქის შემოსავლიდან 100 ათასი მანათი და ხაზინისაგან 79 ათასი მან.

გუშინ საღამოს თავ. აკაკი წერეთელს მოელოდნენ ტფილისში, რომ ქართულის თეატრის რეჟისორობა მიიღოს და საქმეს შეუდგეს.

კვირას სათავად-აზნაურო თეატრში გამოსაცდელი წარმოდგენა იქმნება იმ ახალგაზდა სცენის მოყვარულთათვის, რომელნიც აპირებენ ქართულ თეატრის მუდმივ დასში ჩაწერას.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება იწვევს ნასწავლ კაცს, რომელსაც სურს გამგებლობა მიიღოს ტფილისის საბაღოსნო სკოლაში. მსურველს სწავლა უნდა ჰქონდეს დამთავრებული მაღალ ანუ საშუალო სამეურნეო საბაღოსნო სასწავლებელში და ამასთანავე ბაღოსნობა შესწავლილი უნდა ჰქონდეს პრაქტიკულად. ჯამაგირი მიეცემა, 1,500 მ. წელიწადში და სადგური სკოლასთან. ყოველ 5 წლის სამსახურის შემდეგ მოემატება 275 მანათი, როგორც გამგეს—150 მან. და როგორც მასწავლებელს—125 მ. სახელმწიფო სამსახურის უფლებაც მიენიჭება, თუ შესაბამი სწავლა მიუღია. თხოვნა 15 ოკდომბრამდე მიიღება. თხოვნაში მოხსენებულ უნდა იყოს, სად უმსახურნია. რეკომენდაციაც საჭიროა.

გაგრის სამცენარეულოთა გამოფენის კომიტეტი გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს შემდეგი: კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც ცალკე პავილიონის დადგმა უნდა გამოფენაზედ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს, რომ გამოფენის დაწყებამდე შეამზადონ და ჯეროვნად მოაწყონ პავილიონის ადგილი.

გუბერნიის სამმართველომ გაუგზავნა ქალაქის გამგეობას შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული პროექტი ელექტრონის ტრამვაისა. როდესაც ეს პროექტი ჩაჰბარდება ბელგიის უსახელო საზოგადოებას, იმ დღიდგან იგი მოვალეა ორის წლის განმავლობაში გამართოს ელექტრონის ტრამვაი, და გაიყვანოს ახალი ლიანდაგი იმ ქუჩებზედ, რომლებიც ხელშეკრულობაში არის მოხსენებული.

ფინანსთა მინისტრს შესაძლოდ უცვნია მომავალ წლის განმავლობაში ნება დართულ იყოს უბაჟოდ შემოტანა საზღვარ გარეთიდგან სეტყვის აპაცდენელ მორტირებისა.

მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისის გუბერნიაში მომრიგებელ შუამავლებათ დაინიშნენ: სამსახურს გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი გოგნიაშვილი—თელავის მაზრაში, თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი—დუშეთის მაზრაში, ქვემო მაჩხაანის ბოქაული ჯორჯაძე—თიონეთის მაზრაში, ბორჩალოს მომრიგებელი შუამავალი მურავიოვი—ახალციხის მაზრაში, ტფილისის სასტატისტიკო კომიტეტის მდივანი ბურნაშოვი—ტფილისის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი ჟუკოვი—ახალ ქალაქის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი მაჩაბელი—დუშეთის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი თავ. ერისთავი—გორის მაზრაში და ოდესის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული თავ. ამირეჯიბი—გორის მაზრაში.

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის მაზრებზე გაწერა საადგილ-მამულო და სახელმწიფო გლეხების საიჯარო გადასახადი 1904—1906 წლებისათვის; ქუთაისის მაზრა: საიჯარო გადასახადი—39,032 მან. საადგილ-მამულო—12,272 მან., შორაპნის მაზრა: საიჯარო—25,562 მან., საადგილ-მამულო—8,897 მ., რაჭის მაზრა: საიჯარო—7,980, საადგილ-მამულო,—2,138 მან. ლეჩხუმის მაზრა: საიჯარო—2,472 მ, საადგილ-მამულო—3,155 მ., სენაკის მაზრა: საიჯარო—8,424 მ., საადგილ-მამულო—6,375 მან., ოზურგეთის მაზრა: საიჯარო—6,347 მან., საადგილ-მამულო—4,977 მ., ზუგდიდის მაზრა: საიჯარო—4,327 მან. საადგილ-მამულო—7,816 მ., სოხუმის ოლქი: საიჯარო—38,330 მ. საადგილ-მამულო—5,420 მ., ბათუმის ოლქი: საიჯარო—18,926 მ. საადგილ მამულო—445 მ., და ართვინის ოლქი: საიჯარო—22,600 მან., საადგილ-მამულო—4 მან., სულ საიჯარო გადასახადი—174,000 მ., საადგილ-მამულო—52,499 მან.

## საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები.

(ვუძღვნი ქუთაისის სამღვდელოებას)

სასულიერო ჟურნალ „სტრანნიკი“ ერთს საყურადღებო საგანს ეხება: „მცირე მოსაზრება სოფლის სამღვდელოების წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა და «საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმის შესახებ“.

ორი ავტორი ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობს. მეორე წერილი შედეგია პირველისა, ერთი მეორეს ხსნის, ერთი მეორეს ემოწმება.

წერა-კითხვის მცოდნე და განათლებულ ადამიანისთვის რომ წიგნია საჭირო, ბევრი ლაპარაკი არ უნდაო,—ამბობს პირველ სტატიის ავტორი. წიგნთ-საცავ-სამკითხველოების საქმე ზარმაცად მიიზლაზნება წინაო, თუმცა მაგალითები იმ წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა, რომელთაც აარსებენ დაბალ ხალხისა და საზოგადოებისათვის ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამ საქმეს დიდი წარმატება მოელის: წიგნი იყოს, თორემ მკითხველი უოველთვის იქნებაო.

უფრო ნელის ნაბიჯით მიდის თურმე ეს საქმე რუსეთის სამღვდელოებაში. ეს სამღვდელოება გამოაცხადებს სურვილს, თუ საეპარქიო მთავრობა თვით მისცემს წინადადებას წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსების შესახებ, სულ ერთია, საქმეს არაფერი ჰშველის: ერთს ადგილას საკმარისად სთვლიან საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და ადგილობრივ საეკლესიოს, მეორეში—სამაზროს, მესამეში—საბლაღოჩინოს. სერიოზულად კი არც თვითონ სამღვდელოება ეკიდება საქმეს, არც საეპარქიო მთავრობა. ეს უკანასკნელები მოისმენენ წინააღმდეგ აზრს ან ბლაღოჩინისას, ან სამღვდელოების კრების მხრივ და დამშვიდდებიან, საქმე გათავებულად მიაჩნიათ.

ერთი მიზეზთაგანი, რომელნიც აგვიანებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებას, იმალება თვით სამღვდელოებაში. ეს მიზეზია წიგნისადმი აპატია, ნამეტნავად სერიოზულ წიგნისადმი. ეს სნეულება (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ) სამღვდელოებას ეპარება სემინარიებში. მეტი ნაწილი სემინარიების შეგირდებისა, განსაკუთრებით უკანასკნელ კლასებისა, ნაკლებათ კითხულობენ წიგნებს, იმ წიგნებსაც კი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ შესასწავლ საგნებთან. ეს ფაქტია, რომელიც მტკიცდება აგრეთვე სემინარიელების აკადემიაში შესვლის დროს. თითქმის აკადემიის უგელა მომავალი სტუდენტი მიდის იმ ცოდნით, რომელიც მოთავსებულია სახელმძღვანელოებში. სახელმძღვანელოებს სიტყვა-სიტყვით იზეპირებს და უეჭველია, გონებაშიაც ფურცლავს და სთვლის წიგნის გვერდებს. ესეთი უნუგეშო მოვლენა იქიდამ წარმოსდგება, რომ სემინარიის პროგრამა ვრცელია, დრო-კი ნაკლები და მასწავლებელნი ჩქარობენ კურსის შესწავლას, არა კითხულობენ, რამდენი გაკვეთილი აქვთ მიცემული სხვა საგნებში, არ კითხულობენ, მოასწრობენ თუ არა მოწაფეები, და აძლევენ დასასწავლად 10—20 გვერდს.

ამის გამო მომეტებული ნაწილი შეგირდებისა იძენს აპატიას მეცნიერებისადმი და სიძულვილს, სიყვარულის მაგიერ. კურს დამთავრებული ახალგაზრდა ღვთის მეტყველი ისვრის გვერდზედ იმ სახელმძღვანელოებს, რომელთაც თვი მოაბეზრეს ექვსის წლის განმავლობაში, და წინანდელ სულის შემხუთავ საგნებს თავს ანებებს. რაკი მღვდლობას მიიღებს, კურს დამთავრებული მთელს თავის ყურადღებას მიაპყრობს პრაქტიკულ მოქმედებას და, თუ დრო დარჩა, კითხულობს მხოლოდ გაზეთებს (თუ კი კითხულობს!). სე-

 № 178—190ნ

რაიმეზედ წიგნზედ არც კი ჰფიქრობს. შემდეგ, როდესაც ჩაიყურყუმელავებს ცხოვრების მორევში, იქნება იგრძნოს კიდეც წიგნის საჭიროება, მოინდომოს განახლება თავის ცოდნისა, მაგრამ... არა აქვს წიგნი... და საჭირო საშუალება მის მოსაპოებლად.

ზემო ნათქვამს ჩვენც ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ ჩვენი სემინარიები უარეს გარემოებაში არიან, ვინემ შიდა-რუსეთისა. ჩვენს სემინარიებში, სადაც საგნებს ასწავლიან რუსულ ენაზედ, პროგრამა-კი ისეთივეა, როგორიც შიდა-რუსეთში, შეგირდებს უძნელდებათ სწავლა; აქ უფრო უჭირდებათ გაზეპირება, უფრო მეტად იღალებიან, უფრო მეტი აპატია და სიძულვილი იბადება წიგნებისადმი, ვიდრე რუსეთში, სადაც სამშობლო ენაზე ასწავლიან საგნებს.—

მეორე მიზეზით, განაგრძობს ავტორი, რომელიც ხელს უშლის წიგნთ-საცავ სამკითხველოების გავრცელებას, არის სამღვდელოების კარჩაკეტილი ცხოვრება. ძალიან იშვიათ შემთხვევაში იკრიბება სამღვდელოება ერთად ჩვენ, მოძღვარნი, არ მივუძღვით წინ მრევლის ცხოვრებას, იშვიათად ვცდილობთ ჩავაყენოთ ცხოვრება კალაპოტში, არ შეგვიძლიან თავის დროზედ შევნიშნოთ რაიმე მოვლენა მთელის მრევლისა, ან თვითეულ ადამიანის ცხოვრებაში. საზოგადო მოქმედების გეგმის უქონლობას ის შედეგი მისდევს, რომ ერთი მოძღვარი მთელს თავის ძალღონეს ანდომებს ეკლესიის გამშვენებას, მეორე სკოლის საქმით არის გატაცებული, მესამე მოძღვრებას ეძლევა, სთხზავს ქადაგებას, მეოთხე მეურნეობას, მეხუთე მღვდელ-მოქმედებას—წირვა-ლოცვას მხნედ ეკიდება. ამ გვარად უველა მოძღვართაგანს აუღია ერთი რომელიმე კერძო ცხოვრებისა და მით არის გატაცებული.

აპატია, განკერძოება, უსოლიდარობა სამღვდელოთა შორის დიდი დაბრკოლებაა წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებისა. აქედან ის-კი არ უნდა დავასკვნათ, რომ წიგნთ-საცავ სამკითხველონი საჭიროანი არ არიან, რომ მათ მუშტარი არ ეყოლება, რომ მათი არსებობა საცოდაობის ყოფა-ცხოვრება იქნება. პირ-იქით წიგნთ-საცავ-სამკითხველოებმა უნდა მოსპონ აღნიშნულინი დაბრკოლებანი, უნდა აღძრან ცნობის მოყვარეობა სამღვდელოებაში, გააცხოველიან მათი მოქმედება.

იშვიათია იმისთანა სოფელი სადაც მარტო ოფიციალურ გამოცემას იწერენ; თითქმის უველგან იწერენ ან გაზეთსა, ან ჟურნალს. მაშასადამე წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დასაარსებლად ნიადაგი მზად არის, თუმცა შეიძლება ძალიან კარგათ არ იყოს განოყიერებული.

რა გვარი წიგნ-საცავ-სამკითხველოები უფრო გამოადგება სამღვდელოებას, რომელი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, რომელი უფრო მოსახერხებელია: საეპარქიო, სამაზრო, თუ საბლაღოჩინო?

საეპარქიო წიგნთ-საცავ სამკითხველოები ვერაფერს ვერ მისცემენ სოფლის სამღვდელოებას, ფოსტით წიგნების გაგზავნა გამოგზავნა ხელს მოუშლის ხარჯზედ, წიგნის სადირალის დატოვება დაუკარგავს კითხვის ხალისს ღარიბს სამღვდელოებას და მიერუებელი კუთხეები უწინდებურად უწიგნოდ დარჩებიან. საეპარქიო-წიგნთ-საცავ-სამკითხველოები სარგებლობას მოუტანენ მარტო ქალაქელ სამღვდელოებას, ერის კაცთ, რომელნიც ეძებენ სასულიერო შინაარსის წიგნებს და იმათ, რომელნიც სპეციალურ კი საგნების შემუშავებას მისდევენ

საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებზე მეტი მნიშვნელობა ექნება სამაზრო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, რადგან უფრო ახლო იქნებიან სამღვდელოებაზედ, მაგრამ აქაც მრავალი დაბრკოლებაა: საჭიროა სახლი, გამგე რომელსაც ჯამაგირი უნდა ეძლიოს, სახლის გათბობ-განათება, მოსამსახურე; ნახევარი შემოსავლისა მოუნდება დასახელებულ საჭიროებათ და არა წიგნების შეძენას. ამას გარდა, ფოსტით უველა მღვდელს არ შეუძლიან წიგნის მიღება, რადგან ფოსტა უველგან არ არსებობს და ფოსტა პასუხის მგებელიც არ იქნება, თუ წიგნი დაიკარგა.

სხვა გვარ გარემოებაში იქნება საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები. უწინარეს უოვლისა საბლაღოჩინო წიგნთ საცავ-სამკითხველო ისეთი დაწესებულებაა კი არ არის, რომელიც შორსა დგას მკითხველებზედ, სადაც კომიტეტი და მმართველი ჯამაგირს იღებენ; ეს დაწესებულება ახლოა უველა წევრთან. საბლაღოჩინო უველა წევრის ინტერესი მჭიდროდ არის შეკავშირებული წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთან. წიგნებს და ჟურნალებს კომიტეტი-კი არ იწერს გამოსაწერად, რომელიც, მოუცლელობისა გამო, იქნება არც-კი კითხულობს, იწერს უველა წევრი, მთელი საბლაღოჩინო. წელიწადში არა ერთხელ და ორჯერ მოხდება ხოლმე საბლაღოჩინო კრება, ამ კრებაზედვე შეუძლიან განსწყვიტოს სამღვდელოებამ, რომელი წიგნი და ჟურნალია მისთვის საჭირო. ესვე კრებანი გადასწყვეტენ, რა საშუალებით იწერონ საჭირო წიგნ-ჟურნალები, რავდენიც უნდა მოუმატონ საშუალება, ანუ დაუკლონ, არავის ნებართვას საჭიროებენ. სამღვდელოების ხელშია წიგნთ-საცავ-სამკითხველოების წარმატებაც და მათი შემცირებაც. საშუალების მხრივ საბლაღოჩინო წიგნთ საცავ-სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს, ვიდრე არსებულ წესს, ე. ი. საეკლესიო წიგნთ-საცავებს. ეხლა ეკლესიები და მღვდლები ცალკ-ცალკე იწერენ წიგნ-ჟურნალებს, თითო კრებული ცალკე სარგებლობის გამონაწერით. ასე არ იქნება საქმე საბლაღოჩინო წიგნთ საცავ-სამკითხველოების არსებობის დროს. საჭირო არ იქნება უველა ეკლესიამ, უველა მღვდელმა, უველა წიგნ-ჟურნალი გამოიწეროს; ერთი წიგნი, ერთი ჟურნალი უველას ეყოფა. ეკლესიებს ხარჯი მოაკლდებათ, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შეუძლიან გამოიწეროს უველა სასულიერო ჟურნალები შეიძინოს კლასიკური იხზულებანი სღვთისმეტყველო მეცნიერებისა და თანდათან, საშუალების დაგვარად, შეივსოს ახალ ავტორების ნაწარმოებით. ახალი ავტორების არჩევაც არ გაუძნელდება სამღვდელოებას: უველა ჟურნალში იპოვის შინაარსსა და კრიტიკული გარჩევა ახალი წიგნებისა, სამღვდელოებამ მარტო ის აარჩიოს, რაც მოეწონება. საბლაღოჩინო კრებაზე უველა მღვდელს შეუძლიან გამოსთქვას, რომელი წიგნი მიაჩნია საჭიროდ ან ღირსად გამოწერისა. ასე და ამ გვარად, როდესაც უველა წევრი ინტერესით მოეკიდება საქმეს, უველასათვის საინტერესო და საუვარელ საქმედ გადაიქცევა საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

უპირველეს უოვლისა, თუ უველა არა, სახლი და მმართველი მაინც მუქთი უნდა იყოს. მაგალითად, წიგნთ-საცავი შეიძლება მოთავსდეს ეკლესიაში—მის საკნდელაკში (ризница), ან რომელისამე მღვდლის სახლში. მმართველად უნდა იყოს კრებულის რომელიმე წევრი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უველა საბლაღოჩინოში მოიპოვება მღვდელი, დიაკონი, ან მედავითნე, რომელიც თავის ნებით და სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს.

ამ გვარად საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოზედ და სამაზრო ხომ შესადარებელიც არ არის. არც ისე ძნელია საბლაღოჩინო წიგნთ საცავ-სამკითხველოს დაარსება. საჭიროა თანხმობით მოქმედება საეპარქიო მთავრობისა და სამღვდელოებისა, საჭიროა მხოლოდ მტკიცე სურვილი და შეგნება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მნიშვნელობისაც და სარგებლობისა.

მეორე წიგნში მოთავსებულ სტატიის ავტორს მოჰყავს ინგლისის მეცნიერის ჯონ-შერტელის შემდეგი აზრი: „თუ ოდესმე მესაძლო იქნება ვთხოვო ზეცას იმისთანა ნიჭი, რომელიც გამამხნევებდა ცხოვრებაში გადამექცეოდა სიხარულის და ბედნიერების წყაროდ და ბოროტების ფარად, მთელს ჩემს სიცოცხლეში,—ვინც რა უნდა სთქვას, თუნდაც მთელმა ქვეყანამ შემაგინოს შენი,—მე ვითხოვდი წიგნის კითხვის ხალისს. მიეცით ადამიანს კითხვის ხალისი, საშუალება მის დასაკმაყოფილებლად და თქვენ იმას გააბედნიერებთ უეჭველად“ მართლაც და, ვინ არ იცის, რა გამაცოცხლებელი, გამამხნევებელი გავლენა აქვს მაშვრალ ადამიანზედ შესაფერ წიგნის ან ჟურნალის წაკითხვას...

თვით ცხოვრება გზავნის სამღვდელოებას წიგნისაკენ, რომელიც სასოებად ჰკიცხავს ადამიანს, ცხოვრების მოვლენათა გარეშე მოყურებლად მდგომარეს.

ამ ზემო აღნიშნულ ავტორების გამარტებას საჭირო არ არის ჩვენის მხრივ დაუმატოთ რამე. ვისაც ყურნი ასხიან სმენად, ისმინენ.

ეს ორი წელიწადია, რაც ერთმა ნაწილმა ქუთაისის სამღვდელოებისამ შეადგინა წესდება საბლაღოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი. ეს წესდება განხილულ იქმნა ქუთაისის საბლაღოჩინო კრებაზედ და წარდგენილ უოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდისადმი. უოვლად სამღვდელო დიდის თანაგრძნობით მოეკიდა და გრძნობით აღსავსე მოწონების რეზოლიუცია დააწერა წესდებას. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას დიდი მეცადინეობა უნდა.

ერთი მღვდელთაგანი

## ჩვენებური ამბები

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციას კვალად გაუმეორებია თვისი ცირკულიარი, რომლითაც სოფლის მასწავლებელთ აკრძალული აქვთ იმისთანა საზოგადო საქმეში გაერიონ, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს სკოლასთან.

—

**ქიზიყი.** 18 აგვისტოს ღამე ამოვარდა საშინელი დიდი ქარი და დაამტვრია მრავალი ხეები- დიდი ზარალი მისცა ვენახებს. წასულ კვირეებში იყო ქარი და წააქცია ვაზები. რას ვაი-ვაგლახით ააყენეს და ხელახლად შეუდგეს სარები, მაგრამ ეხლა მეორედ ამ საშინელმა ქარმა მთელი ვაზები ძირს დასცა და გაარევინა დამწიფებული ყურძენი და დაყენა კიდეც. ისედაც ზედი ზედ მოწოლილ საქმეებს ვერ ასდიან საწყლები და ესეც ხელ-მეორედ და მესამედ უხდებათ შესაყელ-შესასარი. ხალხი ჩივის, წრევანდელისთანა ქარები არ გვინახავს ქიზიყშიო. ამის გაჯავრებულები, როგორც ეტყობათ, ხალხი რთველებსაც მალე დაიწყებენ.

—

**გერის-ხევბა** (გორის მაზრა). ჩვენს კურთხეულ საქართველოში ბევრი შესანიშნავი და მშვენიერი ადგილებია თვისის უზარმაზარის მთებით, ტყეთ, მრავალ-გვარის მადნებით, მდებარეობით, ჰავით, სხვა-და-სხვა გვარის სასმელ და სამკურნალო წყლებით, რომელთ შორისაც უნდა ჩაითვალოს გერის-ხევბაც პატარა ლიახვზე და დგრიაწყალზე. ეს სამოთხის მზგავსი ქვეყანა უნდა იყვეს ინგლისელების, ფრანგების, გერმანელების ხელში, რომ ნამდვილ სამოთხედ გადააქცევდნენ, აუვავებდნენ და მილიონებსაც შეიძენდნენ!.. ჩვენ-კი უფრო ვდატაკდებით და დამახინჯებულია უველაფერი უგზოუვვლობით თვით ჩვენ ცხვირ-წინ, ჩვენი კარ-მიდამოების მისასვლელ-მოსასვლელი რა არის და ისიც-კი ვერ გაგვიკეთებ-გაგვისწორებია. ასე დაბეჩავება, დაწვრილმანება და დაზარმაცება ოდესღაც გამჩრიახის და მამაცის ხალხისა, როგორნიც ყოფილან ჩვენი წინაპარნი, სწორედ, რომ სირცხვილია. სავსეა ჩვენი ქვეყანა ციხე-კოშკებით, ეკკლესიებით, ისეთ მიუვალ ადგილებში, მაღალ-მთებზე და ციცაბოებზე, რომ განცვიფრებაში მოჰყვებხართ და, თქვენდა უნებურად ეკითხებით თავს:—რა ხალხმა, რა ხელმა და რა ძალამ აზიდა ამ სიმაღლეზე ამდენი მასალა, როგორ მიუდგნენ და ჩვენ, მათ შვილი-შვილებს რა რისხვა დვთისა დაგვცემია, რომ მისავალი გზებიც ვერ გაგვიკეთებია?!.

ავიღოთ, მაგალითად, თუ გნებავთ გერის ეკკლესია: იგი აშენებულია ერთს მაღალ კლდეზე. აქამდის ისეთი პატარა იყო და მოუწყობელი, რომ არ ინახვოდა. არ არის დიდი ხანი, რაც შეაკეთეს. აქვს პატარა გალავანი და სამი-ოთხი ოთახი დამის-მთეველთათვის. წინ უდევს მოზრდილი მეიდანი თითქო მწვანე ხავერდის ხალიჩაა დაფენილიო, რომელიც დაჰყურებს ხელის-გულივით მთელ გორის მაზრას. მეტად მშვენიერი და მომხიბლველი დასახედია აქედან ქართლი. უკეთეს, ჩემის აზრით, ვერას ნახავს ადამიანის თვალი, მაგრამ რა გამოვიდა: უგზოუვვლობა ამახინჯებს. დადგება თუ არა 15—16 აგვისტო, დაიწყებს მლოცველი დენას და თითქმის ქრისტეშობისთვის დამლევამდე გაუწყვეტელი მიდის ურემი ურემზე. ზემოაღნიშნულ რიცხვიდან ენკენისთვემდე ხომ ისეთი აუარებელი ხალხი მიდის, რომ გზას ვერ აუქცევთ. მე არა მგონია ამოდენა მლოცველი დადიოდეს რომელსამე ეკკლესიაში ან დღეობაში, მეტადრე ოსი. თქმა არ უნდა აქ, როგორც ხალხის რწმენას და საწმუნოებას, ისე ბევრს სხვა მიზეზებსაც აქვთ გავლენა; მაგალითად ხალხის უვიცობა-გაუნათლებლობას, რომელ შორისაც გავრცელებულია ცრუმორწმუნოება, და ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვთ მკითხავ-მარჩიელ ქადაგებს. აი ესენი არიან, რომ თავ-ბრუს ახვევენ ბეჩავ, უვიც ხალხს და უთითებენ ამა თუ იმ ეკლესიებზე ლოცვას საწირავებით, კურატებით და ზვარაკებით.

აკი ასეთაც გახლავთ; ვერ ნახავთ ვერც ერთს ურემს მიმავალ მლოცველს, რომ ერთიდან ოთხამდე არ მიჰქონდეს თოხლი (ერთის, ან ორის და ან სამის წლის მამალი ცხვარი), მოზვრები, ხარი, დეკეული და სხვა მრავალი. მეორე და უმთავრესი მიზეზი-კიდევ ის გახლავთ, რომ ჩვენი კურთხეული ქართლი დაავადებული გახლავთ უექიმობით და უწამლობით. მთელს ამოდენა მხარეში, როგორც არის ცხინვალის საბოქაულო, ერთად ერთი ექიმია დ. ცხინვალში. ჯერ ერთი ადამიანი, რაც გინდ გულშემატკივარიც იყვეს ხალხისა, ჰუმანიურის აზრებით გამსჭვალული, ვერ აუვა, უველას ვერ გასწვდება, ხოლო მისთანებისა, როგორიც არიან მაგალითად ზოგიერთნი ექიმნი, რომელნიც, არამც თუ უსასყიდლოდ, ორ და სამ ვერსის ნაკვეთს გზაზე თხოულობენ ფეხის ქირას—ხუთ მანეთს, თუ ცხენით მოეთ ეტლს და, თუ ცხენს, 10 მანეთს, თუ არა და ზედაც არავის შეჰხედვენ, რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს?! ბებია ქალს ხომ სიზმრადაც ვერ ნახვენ.

ამ გვარად ექიმი თუ ბებია ქალი ხალხისათვის მიუწდომელი გახლავთ და მაშ რა ქნას, რომ არ მიმართოს ჯვარა

## ფელეტონი

### ხმა სოფლიდან.

უნდა მოგახსენოთ, რომ ერთობ ცუდ დროს შევესწარით: თითქოს მრავალტანჯულმა ჩვენმა სამშობლომ უკვე მიაგნო მყუდრო ნავთ-სადგურს; სპარსელები ადრინდებულად აღარ იკლებენ ქვეყანას, თურქნი ვეღარ ჰბედავენ მამა-პაპათა სალოცავების წაბილწვას, ჩინგის ყაენი არ იწვევს თვის ურდოს საქართველოს გასანადგურებლად და ლეკები ხომ კარგა ხანია დაგვიდოსტდნენ, ჩვენ „ზემლიაკებად“ ითვლებიან.

დიაღ, თითქოს განსაცდელი არსაიდან არ მოგველის. მაგრამ რაღაც შეშფოთებული ხარ კაცი, რაღაც გამოურკვეველ შიშსა ჰგრძნობ და გული გულის ადგილას არ გიცემს. რის ბრალია ყველა ეს? ჩემის აზრით, იმ არა-ჩვეულებრივ ღონისძიებათა ბრალია, რომელსაც არსებულ მყუდროების დაცვა აქვს ფიქრად; დიაღ, წრეს-გასულმა, გადაჭარბებულმა ზრუნვამ მყუდროების დაცვისათვის ლამის არის მყუდროებაც შეგვირყიოს და მოსვენებაც დაგვიკარგოს.

როგორც მახსოვს, რამდენისამე წლის წინად სკოლა, სამკითხველო, სახალხო კითხვები, სახალხო წარმოდგენები, სასოფლო გზები და სხვა ამგვარები ითვლებოდა, როგორც მთავრობის წარმომადგენელთა, ისე კერძო ინიციატორთა სატრფიალო საგნად; ყველა დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ხალხის ზნეობრივად ამაღლებას, გონებრივად გამოფხიზლებას შეუძლიან სასურველ მყუდროების ჩამოგდება, და ახლა, თითქოს ამ პროგრესიულ დაწესებულებათა უვარგისობა ირწმუნესო, კაცი აღარ ფიქრობს სკოლის დაარსებისათვის ან დაარსებულის გაუმჯობესობისათვის, აღარ იმართება წარმოდგენები სოფლად და ძალიანაც რომ გინდოდეს, დიოგენის ფანრით ვეღარ აღმოაჩენ სცენის მოყვარულთ; სასოფლო ბანკები და სხვა საკოოპერაციო დაწესებულებანი ვეღარ იმსახურებენ იმათ სიმპატიას, ვის ყურადღებაც ამათთვის საჭიროა; სასოფლო გზები ნაგზაურებად გადაიქცა; აღარ იყიდება წიგნები, ადგილობრივ გამოცემათ უსაშვალობით სული ამოსდით, რადგან ხელის მომწერი აღარ გააჩნიათ, გადაშენდა მკითხველი, ზოგან არსებულ სამკითხველოებსაც კარები გამოუკეტეს და ყოველ ამის ნაცვლად გაგვიხშირდა ოფიციალურ და არა ოფიციალურ, ჯამაგრიანთა, და უჯამაგირო მცველთა ინსტიტუტი, იწერება და იწერება ქაღალდები, რომლითაც სასტიკად აღეკრძალებათ სოფლის მასწავლებელთაც კი მამასახლისის თანაშემწის დაუკითხავად მეზობლისას გადასვლა და თავის დარდისა და ვარამის ვისმესთან გაზიარება.

თუმცა ყველგან გამოერევა იუდის კერძი და ღვთის უარის მყოფელი ადამიანი, რომელსაც ჩალად უღირს მშვიდობიან, უწყინარ სოფლელთა დაწიოკება, ხალხის წმიდა-წმიდათა ფეხ-ქვეშ გათელვა და მათი უფლების გადალახვა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მთავრობის მოხელეთ სოფლის კეთილდღეობა აქვთ ფიქრად და იმათგან, აბა, სიკეთის მეტს რას უნდა მოველოდეთ; საქმე ის არის, რომ დაუპატიჟებელმა, არამკითხე მყუდროების დამცველებმა ამოიღეს სული და, თუ მათი თავ გასულობა დროთი არ აილაგმა, მთავრობის წარმომადგენელთაც შეუშლიან ხელს და სოფელსაც დიდს ვნებას მიაყენებენ.

ვინ არიან ეს დაუპატიჟებელნი მყუდროების დამცველნიო—იკითხავს მკითხველი. ყველა, ვისაც ზომაზე მეტი ცოდვა აუკიდნია და სინათლის მოახლოვება აფრთხობს; ყველა, ვინც წყლის მღვრევას არის დაჩვეული და რომელთაც თვით მყუდროება და მშვიდობიანობა უკარგავს ძილს. მცირეოდენი საეჭვო საბუთი თუ იგდო ხელში, და ხშირად სრულიად უსაბუთოდაც, ამისთანა სათოკე, ქვენა ანგარიშებით გატაცებული—გვამი იხვევს ხელზე მოდაში შემოღებულს „ბუნტობიას“ და გარბის სადაც ჯერ არს: არიქა, ვინ ხარ მამაცი, ირყევა ქვეყნის მყუდროება, მომყევით, მე ჩაგაბარებთ ხელში ქვეყნის მოღალატეთაო. ნიავმა რომ ძირ გამომპალი საქათმე წააქციოს ასეთ უტიფარს, მაშინვე „ბუნტობიას“ დააბრალებს და იწვევს მეხსა და ვაებას მშვიდობიან, ცხვარივით უწყინარ მეზობლების თავზე.

იმის დასასურათებლად, თუ რამდენად შინაარსიანი არის მოდაში შემოღებული ტერმინი „ბუნტობია“ ანუ „ბუნტოჩიკობა“, მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომელსაც რამდენისამე თვის წინად ძველ-სენაკში ჰქონდა ადგილი და რომლის მსგავსი ყოველ ფეხის გადადგმაზე შეგხვდებათ, მაგრამ ყველა ამის გაზეთის ფურცლებზე აღნიშვნას ერიდებიან, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ «ბუნტოჩიკის» სახელი არ დაგვივარდესო. ერთს კიწიელ მებატონეს ძველ-სენაკში ერთი დროებით ვალდებული გლეხი შერჩენია. ეს ბოგანო გლეხი ვერც ადგილის გამოსყიდვას ახერხებს მებატონესგან და ვერც მიწის ფასს იხდის თურმე თავის დროზე. მოთმინებიდგან გამოსული მებატონე მიადგა გლეხს კარებზე, მაგრამ იმ უბადრუკს თურმე სიმშილით კუჭი ეწოდა და, აბა, მებატონეს რაღა პასუხს გასცემდა. ბატონმა ურჩი გლეხი წაათრია სოფლის სასამართლოში მამასახლისთან და იქ ბევრი აწვალა, აგლიჯა ულვაშები, აფურთხა სახეში, აპაილურა, მაგრამ არც ამით გამოვიდა-რა. სოფლის თვითმართველობის წარმომადგენლნი უყურებდნენ გლეხის ასე უდანაშაულოდ კაბიაბრუებას, მაგრამ მებატონეს აბა რას გაუბედავდნენ და გლეხს ხომ ბატონმაც ბევრი ურტყა.

როცა გულზვიადმა მებატონემ იჯერა გული გლეხის შეურაცხყოფით, გამოვიდა და იქვე დუქნის წინ მოსაუბრე ახალგაზდებს შესჩივლა თავისი დარდი: ასე და ასეა ჩემი საქმე, გლეხმა ამიგდო და მიწის ლალის არ იძლევაო. ამაზე ერთმა სტუდენტმა უთხრა, ჩვენცა გვყავს ვალდებული გლეხი, მაგრამ მამაჩემმა, პირიქით მისცა რამდენიმე ფუთი სიმინდი, რადგან წელს მოუსავლობა იყო და მათი უმეტესობა დამშეული არისო. ამ სიტყვებმა ცეცხლი მოუკიდა მებატონეს და ისიც გაფთრებული მივარდა სტუდენტს.—შენ ასეთო, შენ ისეთო, შენ არამზადაო, შე ბუნტოჩიკო! სულ შენისთანა კაცების ბრალია, გლეხები რომ გადაირიენ, თქვენ აგულიანებთ, მე ვიცი, შენ სადაც გაგიგზავნი ქაღალდს, ციმბირს გაგაცილებ, თუ ულვაშები მასხიაო,—მიაყარა სხაპასხუპით და სიტყვიერის შეურაცხყოფის დასამთავრებლად ქოლგაც-კი სთხლიშა მკერდში თავის სიტყვების სრულიად მოულოდნელ შედეგით გაოცებულ ახალგაზდას.

ვერ წარმოიდგენთ, რამდენად თავდაჭერილი უნდა იყოს კაცი, რომ მოითმინოს ისეთი სრულიად დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, როგორიც აიტანა ამ ახალგაზდამ. ალბად დარწმუნებული იყო, რომ სიტყვით ვერას გახდებოდა ყოველს სამართლიანობასა და წესიერებას მოკლებულ ადამიანთან, ხოლო ფიზიკურის ძალით გასწორება ეთაკილებოდა და ისიც უხმოდ მოშორდა თავის ასე უსაბუთოდ შეურაცმყოფელს. ეს ვერ მოითმინა მხოლოდ იქვე მყოფმა ერთმა სოფლელმა, ამ სტუდენტის სახლიკაცმა, ისევ აზნაურმა. მეტად აღელვა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მოსწავლის ასე უმიზეზოდ დამცირებამ და ზვიად მებატონეს რამდენიმე თქვენგან მოწონებული სილა გააწნა. შემდეგ მებატონემ გარდასწყვიტა ძველი-სენაკის განადგურება და მიაშურა ახალ-სენაკს: არიქა ძველ-სენაკში დიდი შეთქმულობა არის, გლეხებს აქეზებენ, რომ მებატონეს ლალა არ მისცენო, ერთი სიტყვით, ნამდვილი „ბუნტი“ არისო და სასტიკის ღონისძიების მიღება არის საჭიროვო.

სენაკის მაზრის უფროსი ბ-ნი რიაზანოვი, ალბად, ზოგიერთებივით არ აჩქარდა და საკმაო გამოცდილების შემდეგ მოჰკიდა ხელი მაზრის უფროსობას, რომ ამ შემთხვევაშიაც წინდახედულობა გამოიჩინა, ახირებულ მებატონეს არ აჰყვა და, თუმცა ის ვაჟბატონი ბევს ემუდარა, საქმე საცა ჯერ არს იქ გადეციო, მაგრამ ამან მაინც სასამართლოსკენ მიუთითა.

ექიმს, ბებიას, მკითხავს და ეკლესიას;?. ფული იმდენი არა აქვს, რომ შორიდგან ექიმი ან ბებია მოიყვანოს და თუ შინაურმა ჯარა-ექიმებმაც ვერა უშველეს რა, უკანასკნელი ხსნა და იმედი ბეჩავს ხალხს მკითხავისა და ეკლესიისადა აქვს. ეს უკანასკნელნიც ამით სარგებლობენ და იყვლიფება ხალხი. კიდევ კარგი და დიდი ბედნიერებაა, თუ კი კარგი დარი დაუდგა გერის ეკლესიის მლოცველთ. ასე იქნება თუ ისე, თუმცა დიდის ტანჯვა წვალებით, მაგრამ მაინც როგორც იქნება მიაღწევენ დანიშნულ ადგილს. თუ ავდარია და თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, ის ტანჯვა-წვალება, რაც ამ დროს ხალხს თუ პირუტყვს დღე ადგია. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა იმისი, რომ ავადმყოფი, მიყვანილი სალოცავად იმ იმედით, რომ ხატი მომარჩენს, ვეღარ დაბრუნებულა ბინაობისა, დადა-ღუდა გზების წყალობით. იმისი მაგალითებიც ყოფილა, რომ დაგორებულა ურემი და დაღუპულა ხალხიც და საქონელიც. სულ თუ არა, უზარალოდ მაინც არ გადარჩენილა. ასე თუ ისე, მიხვედით გერში; თუ დაგიხვდათ მღვდელი იქ, ხო გადიხდით პარაკლისს, თუ არა, დაგამწყალობებთ ჟდარუნებიან ბაირაღით ეკლესიის მხათე ოსურად, თქვენგან მოყვანილს ცხვარს, კურატს თუ ზვარაკს სამჯერ შემოატარებენ გარშემო ეკლესიას, მერე დაჰკვლენ, ნახევარი მთლად საკლავისა, ტყავი იმათ მიაქვთ და ნახევარი გრჩებათ. თუ გეყოთ ხომ რა კარგი, არა და ხშირად ხდება, რომ თქვენგან მიყვანილის საქონლის ხორცს თქვენვე უიდულობთ, ასე რომ ერთი ორად გიჯდებათ.

თუ რამდენი საკლავი იკვლის და რა შესავალი აქვს გერის ეკლესიას, მკითხველმა გამოიცნოს. მე მხოლოდ მოვახსენებ ჩემის თვალით ნანახს და რამდენი იქნებოდა ჩემს წინად და შემდეგ, ძნელი გამოსაცნობია. ჩემთან-კი დაიკლა სამის კვირის განმავლობაში 1350 სული ცხვარი და 500 სული სხვადი საქონელი. საწირავის ფული, სანთელი, მიტკალი, ძაფი, ჯვრები, ქათმები, ხაჭაპურები, არაყი, ღუდი, ღვინო და სხვა ხომ მრავალია. დიაღ, ორთა შუა რიცხვი რო ავიღოთ და ვიანგარიშოთ, სულ რო ცოტა, წელიწადში ამ ეკლესიას ექნება შემოსავალი 1000 თუმანი და გზა-კი არა აქვს, რო თავისუფლად მივიდეს მლოცველი, იმდენი ოთახი არ აქვს, რომ სიცივეში, წვიმაში თავი შეაფარონ!?. ნუთუ გასაჭირია ეს? ჩემის აზრით, სულაც არა, თუ გული გულობს, ქადაგის ხელით იჭმევაო, ნათქვამია...

იმ აუარებელ შემოსავლიდან, რომელიც შემოსდის ამ ეკლესიას წელიწადში, რომ ასი თუმანი დახარჯონ გზებისა და ოთახებისათვის, ათი წლის განმავლობაში-კი არა, უფრო ადრეც გზაც მშვენიერი იქნება და ოთახებიც, მაგრამ ვინ არის პატრონი? ყველას თავის ჯიბე-უბისაკენ გაუხარიან, და რაში ეკითხებათ, რომ შორი გზიდან მისული ავადმყოფი ან სიცივით გაიფიჩხება ან დარში ამოხდება სული. ვისი მოვალეობაა ეს?! ადგილობრივის მღვდლისა, იგი მოვალეა იზრუნოს, როგორც ეკლესიისა, ისე გზებისა და ოთახებისათვისა და მლოცველებისათვისაც. დასასრულ, იმედია, მიაქცევენ ყურადღებას ამ ნაკლულევანებას ვისიც ჯერ არს და დაიხსნიან ხალხს გაჭირვებიდან.

დვერისელი.

# კავკასია

14 აგვისტოს, ღამის ორ საათზე, ნუხის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის გაძარცვა მოინდომა ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა. ყაჩაღებმა დაუწყეს ნგრევა კედლის იმ ნაწილს, სადაც ფულის ყუთი იდგა. მოდარაჯე ჯარის კაცმა ვერ გაიგო იმათი მისვლა, რადგან შენობის სხვა მხარეს იდგა. ყაჩაღებს გამოეცალათ თუ არა კედლისათვის 7—8 აგური, თვალი მოეკრათ ამ ფოსტის უფროსის ჟანდარმისათვის, რომელიც სტუმრად ყოფილიყო და სახლში ბრუნდებოდა. ავაზაკები გაქცეულიყვნენ. ფულად ამ დროს კონტორაში —100,000 მანათი ყოფილიყო.

# რუსეთი

სენატმა განმარტა, რომ ქალაქის არჩევნებზედ სავაჭრო—სამრეწველო დაწესებულების წარმომადგენლად არ შეუძლიან იყოს ყოველი, ვისაც დავალებული ექმნება ამ დაწესებულებისაგან წარმომადგენლობა, არამედ მხოლოდ ის, ვინც თვითონ მონაწილეა იმ დაწესებულების სავაჭრო-სამრეწველო მოქმედებაში, დირექტორი ანუ აგენტი, რომელსაც მინდობილი აქვს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების საქმეებისა და ოპერაციების მართვა.

— ჩინეთიდან უფრო ბევრი შემოდის საქონელი, ვიდრე რუსეთს გააქვს. იქნება რკინის გზის გაყვანამ უშველოს ამ მხრივ რუსეთს და ახლა უფრო მეტი საქონელი გავიდეს ჩინეთში. რუსეთს, სხვათა შორის, უფრო არაყი გააქვს და ძალიანაც თურმე მოსწონთ ეს სასმელი, მეტადრე იაპონიაში. ჩინეთში მოსწონთ აგრეთვე რუსეთის პაპიროსები, მეტადრე დედაკაცებს, რომლებიც ძალიან თურმე ეწყობიან თუთუნს. საკმაოდ მიდის აგრეთვე ჩინეთში იაფი გალანტერეია და საკოსმეტიკო მასალა, რადგან იქაურნი დედა-კაცნი ძრიელ ეტანებიან „შუტაკს" და ითხუპნიან სახეს, ისურმავენ თვალებს, ილებავენ ლოყებსა და ტუჩებს.

— პეტერბურგი აპირებს, ორ ღამის თავ-შესაფარს გარდა, რომელიც იქ არსებობს დედაკაცთათვის, კიდევ რამდენიმე თავ-შესაფარი დააარსოს. კომისია, რომელსაც ეს აქვს მინდობილი, იმ აზრისაა, რომ ღამის თავ-შესაფართა სიმცირეა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ბევრი ქალი ირყვნება და ადგება დაღუპვის და გახრწნილობის გზასა.

— პეტერბურგის ახალს ბანკში მრავალი თურმე ეწერება წევრად და თან საწევრო ფულიც შეაქვს.

— პეტერბურგი აარსებს ორს საამბულატორო სამკურნალოს თვალით ავადმყოფთათვის, რადგანაც, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა მრავალია თურმე პეტერბურგში, მეტადრე მოსწავლეთა შორის, თვალ-მტკივნეული, თვალით სნეული.

— გზათა-სამინისტროში იმის განსჯაში არიან, რომ შეზღუდულ იქმნას უფლება მიწის ქვეშ მუშაობისა რკინის გზების მახლობლად და იქ მღვიმე-მაღაროების თხრა.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო ჰგზავნის სამთა-მადნო ინსტიტუტის პროფესორს ვ. ღ. კოლოვსკის ზემო სილეზიაში (გერმანია), რათა გაიცნოს ახალი გაუმჯობესებული ტეხნიკა ქვა-ნახშირის საქმისა.

— ოდესის უნივერსიტეტში შეუტანია თხოვნა 800 კაცს, მათ შორის 200 წინად სტუდენტად ნამყოფთა და სხვა უნივერსიტეტში გადმსვლელთა. ებრაელთ შეუტანიათ 200 თხოვნა სტუდენტად ჩარიცხვისა.

— ოდესის ქალაქის საბჭომ ითხოვა, განთავისუფლეთ შემწეობის ძლევისაგან მეოთხე გიმნაზიისათვის—5440 მან. და 75 კაპიკისაგანაო, მაგრამ მთავრობას უარი უთქვამს, ვერ განგანთავისუფლებთო.

— რამდენჯერმე ითხოვა ხარკოვის საგუბერნიო ერობამ ნება რთვა კრების მოწოდებისა 16 აგვისტოსათვის, მაგრამ ნება არ მიეცა. კრება იქმნება მხოლოდ სეკდემბერში.

— ოდესის საერობო გამგეობამ სასარგებლოდ სცნო მოძრავი მუზეი შეუდგინოს მოსიარულე მასწავლებელს, რომელმაც უნდა იაროს ბ სოფლელებს აუხსნას ყოველივე, რაც შეეხება მევენახობასა და ღვინის დაყენებას, სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგიას, მეფუტკრეობას, მებაღობას და სხვ. გერმანიაში ამისთანა საქმეს აკეთებენ ესრედ წოდებულნი მოგზაურნი მასწავლებელნი.

— საგანგებო საგუბერნიო საერობო კრებამ ნიჟნი-ნოვგოროდში დაადგინა, სასურველია გაიმართოს ჩვენს ქალაქში პოლიტეხნიკუმი მთავრობის ხარჯითაო. გუბერნატორს ერობის თხოვნა წარუდგენია საერო-განათლების მინისტრისათვის.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ზღვათა მინისტრ პელტანის პატივსაცემლად გამართულ მეჯლისზედ შერბურგში, რომელზედაც დიდძალი ხალხი იყო მიწვეული, ზღვათა მინისტრმა პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა.

„საჭირო არისო,—სთქვა ორატორმა სხვათა შორის—რომ ნავიანობის უფროსნი რესპუბლიკის რეჟიმს ექვემდებარებოდნენო. ფლოტი ხელს არ უნდა უწყობდეს და არ აძლიერებდეს იმ ოფიცრებს, რომელნიც აღიზარდნენ დომინიკელთა მიერ და გაიმსჭვალენ იმ აზრით, რომ მათი მახვილი უნდა ემსახურებოდეს კლერიკალიზმს რესპუბლიკის წინააღმდეგო". ორატორი შეეხო აგრეთვე კონგრეგაციებსა და განაცხადა,—მინისტრპრეზიდენტ კომბს სისრულეში მოჰყავს დანაპირები, და თავის ამხანაგთა შემწეობით კიდეც დააგვირგვინებს თავის საქმეს, ვინც რა წინააღმდეგობა უნდა გასწიოს: მთავრობას სრულიადაც არ აშინებს კრიზისიო.

**ოსმალეთი.** სოლუნიდგან მოსულ ცნობებით, მთელი ქალაქი შიშით ძრწის: ოსმალნი მოელიან, რომ მეამბოხეთა შეერთებული ჯუფთები თავს დაესხმიან ოსმალთა უბნებს, იმავ დროს ხელს მიჰყოფენ ნაღმსა და ცეცხლის წაკიდებასაო. ოსმალნიც აღიჭურვნენ და მეტად გაბრაზებულნი არიან; ამბობენ,—თუ მეამბოხეთ რამე გვავნეს, ბულგართ მუსრს გავავლებთ სულ ერთიანად და თვით ჩვენს ჯარებს შევებრძოლებით, თუ იმ დროს წინ გადაგვეღობა და ბულგარებს გაუწია მფარველობაო. საზოგადო დაწესებულებებს დარაჯი იცავენ; გუშაგთა რიცხვი გააძლიერეს. დიდის სიფრთხილით ჰმოქმედობენ, რომ ცეცხლი არსად გაჩნდეს. მეციხოვნეთა რიცხვი მცირეა, რადგან ამას წინად სხვა და-სხვა კუთხიდგან თხოულობდნენ მშველელ ჯარებსა; უნდათ გააძლიერონ. იარაღი დაურიგეს თოფჩებსაც. შეძლებულ ბულგართა უმრავლესობა ადრევე გაიხიზნა ქალაქიდგან. ქალაქის ტრამვაის დირექციის მუქარის ბარათები მისდის. სტამბოლიდგან სოლუნს იდუმალად გაემგზავრა სასახლის უფროსი ღოსტაქარი კამბურ-ოღლი. ამბობენ, იმიტომ გაჰგზავნეს ღოსტაქარი სოლუნს, რომ იქ ერთ-ერთ უკალოეს მოხელეს მოკვლა ჰქონდათ განზრახულიო. სოლუნში დაიწყო საქმის გარჩევა ადგილობრივ ბანკის კანტორისა, („Condoff Freres" ფირმისა), რომელსაც ჰბრალდება, მეამბოხეთა საფინანსო საქმეების მოწყობა.

— როგორც ბიტოლიისა და პრილეპიდგან იუწყებიან სოლუნს, ახლანდელ აჯანყებას მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩაუგდია ზოგიერთი ადგილები: ზემოხსენებულ ქალაქთა შორის მდებარე დაბასოფლები სრულიად განადგურებული და გადაბუგულია. ნამოსახლარს თუ წააწყდება კაცი აქა-იქ, თორემ შენობას ვერსად შეხვდება. შურის ძიებით გაფთრებულ ოსმალთა მოქმედებაც სწორედ თავზარ-დამცემია. ჯუფთები ახერხებენ, დროით უშველონ ხოლმე თავს, რიცა ჯარები უახლოვდება.

შავი ზღვის ოლქის მეამბოხეთა რიცხვი 1,000 კაცამდეა, მაგრამ პატარ-პატარა ჯუფთებათაა დანაწილებული. ლტოლვილნი ოსმალნი და ბერძენნი საშინელ ამბებს მოუთხრობენ აჯანყების შესახებ: ყველგან ცეცხლი და სისხლის მორევი გვხდება წინ კაცსაო. სოფ. ვასილისკოში მეამბოხეთა დანახვაზედ ისეთი თავზარი დაეცათ მცხოვრებთ, რომ აღარ იცოდნენ, საით გადაცვივნულიყვნენ: მრავალი პირდაპირ ზღვაში გადავარდა და იალქნიან ნავებს მიაშურა, მაგრამ ბევრნი დაიხრჩვნენ, უმეტეს ნაწილად ბავშვები.

**მაკედონია.** მაკედონელ მეამბოხეთა გაზ. „ავტონომიაში" დაბეჭდილია: „მთელმა ქვეყნიერობამ უწყის, რომ ამბოხებაში მონაწილეობენ მაკედონიის ყველა ქრისტიანნი მკვიდრნი. ბიტოლიის ვილაიეტში რუმინელნი ბულგარელებთან ერთად ებრძვიან მტერსა. ორი მათგანი მეამბოხეთა რაზმებს სარდლობენ: ალექსანდრე კოშკა—პორუჩიკი რუმინიის მხედრობისა—პელისტერთა რაზმს უფროსობს, ხოლო პიტო გული თავის რაზმით მამაცად იცავდა თავისს სამშობლო ქალაქ კრუშევოს. მათ გარდა სხვებიც უფროსობენ სხვა-და-სხვა რაზმებსა და ჯუფთებს. ეს გარემოება ცხად ჰყოფს, რომ ზოგიერთებისაგან გავრცელებული ხმები, ვითომ მაკედონიაში მხოლოდ ბულგარნი ჰმოქმედებდნენ და სხვა ტომნი კი ხმას არ იღებდნენ, ყოველ სიმართლეს მოკლებულია. ეჭვს გარეშეა, რომ აჯანყების საქმეს განაგებენ ბულგარნი და ყველაზედ მეტნიც არიან, მაგრამ საზოგადო ბრძოლაში ყველა ქრისტიანები იღებენ მონაწილეობას, გარდა ბერძენთა, რასაკვირველია".

იმავ გაზეთის სიტყვით, კოსტურის მიდამოებში მეამბოხეთა მდგომარეობა ასეთია: ქალაქი კოსტური, რომელიც მეამბოხეთ აიღეს, მხოლოდ ნახევარ დღეს იყო მათ ხელში. რუმინელთა დაბა კლისურას, რომელიც აგრეთვე მეამბოხეთ ჩაიგდეს ხელში, ოსმალთა ძლიერი რაზმი დაეცა, მაგრამ ჯერ არ იციან, რით გათავდა ბრძოლა. ოსმალეთის ამ რაზმთან ერთად ჰმოქმედებდა ბერძენთა რაზმიც ოსმალთა ცნობილ ჯაშუშის ვანგელის მეთაურობით (სოფ. სრებრინას მცხოვრებია). ბერძნებმა ყველაზედ მეტი დასტოვეს ბრძოლის ველზედ და განილტნენ.

ბიტოლიის მკვიდრ რუმინელთ მოუკრებიათ ერთ-ურთს შორის 300 ოსმალური ლირა, უყიდნიათ ფქვილი და სხვა სურსათი და გაუგზავნიათ ქალ. კრუშევოს დაზარალებულ ქრისტეან მკვიდრთათვის.

---

დიაღ, დიდი მადლობელი უნდა ვიყვნეთ მაზრის უფროსისა, რომ ამ განცხადებას ჯერ კბილები კარგად გაუსინჯა და ისე მისცა შესაფერი მსვლელობა. მერე და კაცი რომ თავის მოვალეობას სიფრთხილით ეკიდებოდეს, აქ რა არის სამადლობელიო,—იკითხავს გაოცებული მკითხველი. არის ბატონო, არის, იმიტომ, რომ არა ერთი და ორი უბრალო მსხვერპლი გვინახავს ასეთის გაუფრთხილებლობისა და წინდაუხედაობისა, არა ერთი და ორი მტრედივით უმანკო ადამიანი საეჭვო კაცად გამოუყვანიათ და, სანამ საქმე გამოირკვევოდა, ვირის აბანო უგემნებიათ.

ერთის სიტყვით, უდანაშაულო ადამიანის დავიდარაბაში ჩაგდება მეტად ადვილი საქმეა, მით უმეტეს, თუ მაზრის ვერაგობას მთავრობის წარმომადგენლის გამოუცდელობა უწყობს ხელს. ვსთქვათ, მაგალითად, რომელიმე ვერცხლის მოყვარე მოძღვარმა ეკკლესიის ფული გაჰფლანგა და შენ,—ერთი მისი მრევლთაგანი,—წინააღუდეგი მის ანგარებას. რა უშავს მაშინ, ამ ქრისტეს მაგიერმა კაცმა რომ მოხსენება გაჰგზავნოს სადაც ჯერ არს: ესა და ეს კაცი ეკკლესიაში არ დადის, ზიარებას არ იღებს, სოფელს რყვნის და რაღაც საშიშ (*)ენდენციებით არის განმსჭვალული და, თუ სოფელს არ მოაშორეთ, სოფლის მყუდროებას განსაცდელი მოელისო. ჰო, ასეთი მოხსენება, რომ გაჰგზავნოს, რა უშავს, მიბრძანეთ? არ დაუჯერებენ თუ?

ან კიდევ, შენ მეზობლად ავერ კნიაზი ფშატაძე ცხოვრობს; ამ კნიაზს ერთობ ბევრი გზები აქვს და ცხენი-კი არ გააჩნია. შენ ყოველთვის უსასყიდლოდ ვერ ათრევინე აღმა-დაღმა შენი ერთად ერთი ცხენი და კნიაზიც შენზე გულმოსულია.

ან კიდევ, აგერ ახლად გააზნაურებული ბატონი ფულაძე რაღაც ყალბის საბუთების წყალობით შენს საცხოვრებელს დაეპატრონა და, თუმცა შენის ჯავრის ამოყრა იქნება ფიქრადაც არა გაქვს და ყველაფერი ღმერთზე მიგინდვია, მაგრამ იმას მაინც სამაგიეროს გადახდის შიში მოსვენებას უკარგავს, ძილს უშფოთებს და, რომ გული საბუდარს დააყენოს, გადაწყვეტილი აქვს შენი სამუდამოდ თავიდან მოშორება და, რა თქმა უნდა, მარჯვე შემთხვევისათვის შენზე კბილებს ილესავს. იმავ დროს, როგორც ფშატაძე ისე ფულაძე კარგად არიან, მეგობრად ადგილობრივ ბოქაულთან, რომელთანაც მუდამ ბეჰსა სთლიან, ბანქოს თამაშობენ და „დალიე-დამალევინე, სული ნუ დამალევინეს" დაჰღიღინებენ. რა უშავთ ამათაც, რომ შენზე წასჩურჩულონ ბოქაულს; ესა და ეს გლეხი საეჭვო კაცი არის და ფხიზლად გეჭიროს იმაზე თვალიო.

ერთის სიტყვით, უბრალო კაცის ბრალიანად გამოყვანა, კეთილსაიმედოს საეჭვო კაცად დასახვა, რწყილისაგან აქლემის შობა ერთობ ადვილი საქმე შეიქმნა ამ უკუღმართ დროში. ნამეტნავად თუ გლეხი ხარ, ყველას ადვილად სჯერა შენი „პუნტოჩიკობა" და მოდი და გუნდრუკს ნუ უკმევ, თუ რომელიმე მოხელე დიდის წინდახედულობით იქცევა და ყველა სათოკე კაცის ნაამბობი უცილობელ ჭეშმარიტებად არ მიაჩნია.

მაშ, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ მისი ადამიანობა ვისმესთვის საეჭვო არ შეიქნას? ამის პასუხს ისევ სოფლის ფილოსოფია იძლევა: რა სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო, ამბობს ანდაზა. ძალიან კარგი, მაგრამ შენ თუ რამ ზნეობრივ პრინციპების პატრონი ხარ და ყველა სოფლის ქუდი შენ თავს არ უდგება? მაშინ უნდა განშორდე სოფელს, ან აიღო ხელი ამ პრინციპებზე და იცხოვრო ისე, რომ შენს ყოფნასა და არ ყოფნაში დიდი განსხვავება არ იყოს. იყავ მოწამე მზის ამოსვლისა და ჩასვლისაო, ერთის დაბადებისა და მეორეს ამ სოფლის მიერ გასვლისა, მიიღე მხნე მონაწილეობა მხოლოდ სადილისა და ვახშმის გაქრობაში, არც არავის ავნო, არც არავის აწყენინო და უეჭველია შეუნიშნავი დარჩები.

თუ არც ამას დასჯერდები და მაინცა და მაინც გსურს კეთილ-საიმედო კაცის სახელი მოიხვეჭო, დადექი ვისმესთან ნოქრად, ჰპარე „ხაზეინს", რამდენიც შეიძლო, ყოველ გვარი შევიწროება მოითმინე, იმომჭირნე, გროში გროშს აწებე და, როცა ფულიანი გახდე, თითონ დაიჭირე ნოქრები; ამათ არც ასვა, აჭამო, არც აძინო და არც დაასვენო, დღე და ღამეში ოცდა თექვსმეტი საათი ამუშავე და მხოლოდ ორის საათის სასყიდელი მიეცი და, თუ რომელმამე მათგანმა უკმაყოფილება გამოგიცხადოს, დაახალე რევოლვერი და ურჩის ნოქრის ადგილას სხვა, უტყვი, ყოველგვარ შევიწროების ამტანი არსება ჩააყენე. ან კიდევ ჩაიყვანე მუშები ქვალონის ტყეში (შავი ზღვის პირად ქ. ფოთის ახლოა), ამუშავე რამდენიმე თვე, მერე უყავი „სკიდკა", მის მიერ მოჭრილ შეშას და რაც „სკიდკის" შემდეგ ფული ერგოს, ის აქვე შენგან გამართულს სამიკიტნოში დაატოვებინე. ერთის სიტყვით საქმე ისე წაიყვანე, რომ, რამდენიც უნდა იმუშაოს, საგზაო ფულს მაინც ვერ მოუყაროს თავი და, თუ უპირისუფლო მუშა არის და არავინ მოიკითხა (ან კი ვინ მოიკითხავს, როცა მისი სახლობა ამისგან ელოდა სულის მობრუნებას!), რა თქმა უნდა, მუქთი ოფლი სამუდამოდ შეგრჩება. თვით აქაური ჭაობი მოგიწყობს ხელს: ისეთ მაგარ ციებ-ცხელებას შეჰყრის, რომ მუშებს არავითარ პროტესტის ღონე არ შერჩებათ და სულის ამოხდენამდე შენი ყურ მოჭრილი ყმები იქნებიან.

საქართველოს პირზე ტყეების მეტი რა არის და რაღა ქვალონის ტყე წამოგედო კალმის წვერზეო—შემომიბღვერს გულმოსული „ქვალიონი" და ამიტომაც მინდა ეს საარაკო მუშათა სამარე გავაცნო მკითხველს. ვისაც ახალ-სენაკიდგან ფოთამდის უმოგზავრია, უეჭველად შენიშნავდა რკინის გზის ორსავ მხარეზე აშლილს ტყეს, რომელშიაც უნავოდ მოძრაობა მხოლოდ მეტის მეტად მშრალ ზაფხულში შეიძლება. აი ამ ჭაობს ის დანაშაული მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე, რომ სინესტის გამო მეტად ხშირი ტყე აღმოუტევებია მაღლა და უამრავ კოღო ბუზებთან ერთად აუარებელ მუშებს იზიდავს კოლხიდის ოთხსავ კუთხიდგან. ეს მუშები აქ წლიდგან წლობამდე სისხლს აქცევენ, წელებზე ფეხს იდგმენ და შინ ციებ-ცხელების მეტი არა მოჰყვებათ რა. ხშირად შეხვდები აქ რამდენისამე თვის მუშაობით დასნეულებულს მუშას, გაყვითლებულს, ძონძებში გახვეულს, რომელიც ნაცნობს და უცნობს ემუდარება: მიშველეთ, სახლში წასასვლელი ფული მომიხერხეთ და, თუ არ მოვკვდი, ერთი ორად გადაგიხდითო.

ეს საოცარი ამბავი, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ მუშებს თვით აქაურ ჭაობებში დაბინავებულ კოღოებზე უმრავლესი ტყით მოვაჭრე ხალხი ახვევია, ასე რომ თითო მუშაზე ორი და მეტი ესრედ წოდებული „პოდრაჩიკი" მოდის და ყველა ამათ გაუმაძღარ მადის დაკმაყოფილება ვერ შესძლო საწყალ მუშების ოფლმა, რომელიც ასე მუქთად იღვრება ქვალონის ჭაობებში.

ახლა, როგორც ამბობენ, თითონ „პოდრაჩიკებში" ატეხილა ბრძოლა თვით-არსებობისათვის და, როგორც მუშებთან, ისე „პოდრაჩიკებთან" შებრძოლებაში გამარჯვება ყველაზე მოხერხებულს დევისაძეს დარჩენაო. აწი მე რა დარდი მაქვს, დევისაძის გამარჯვება არ მშურს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოკეთეები მოსვენებას არ აძლევენ და დევისაძისთანა გმირის დანახვაზე თვალებს მთხრიან ამ სიტყვებით: აი, შე არამზადავ, კაცი ის არის კეთილ საიმედო კაცი! გუშინ დედიშობილა დადიოდა და დღეს ასი ათასობით სთვლის ფულებს, თორემ შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ, გროში არ გაბადიაო.

ჯანი გავარდეს, უგროშობასაც გავუძლებ, თუ სიღარიბეს „პუნტოჩიკობაში" მაინც არ ჩამომართმევენ.

შუბნელი

გაზ. „დღიური“ იუწყება,—ბულგართა ეგზარხოსი იოსებ 1-ლი მიუწვევია დიდ ვეზირსა და უთხოვნია,—ჩააგონეთ თქვენს სამწყსოს, ნუ ეურჩებიან ოსმალ მოხელეებსაო. ეგზარხოსს ფერიდ-ფაშისათვის, გარეშე საქმეთა მინისტრს თევფიკ-ფაშის თანადასწრებით, შემდეგი პასუხი მიუცია:

„დიდად ვსწუხვარ, რომ არ ძალმიძს სამსახური გავუწიო მის უდიდებულესობას ხონთქარსა, რადგან მაკედონიაში ყველა მღვდლები და მასწავლებლები დაპატიმრებულნი არიან და სკოლები გაუქმებულნი. ჩემს ხმას იქ ვეღარავინ გაიგონებს: იქ მარტოოდენ იარაღის ჩხარაჩხური ისმის“.

## სასამართლოს მატიანე

**სოჭაში** 17 მარტს ამა წლისა, ხალხმა აიკლო პატიმართა სახლი და პოლიციის დარაჯი მოჰკლა. საქმე ასე ყოფილა:

საპატიმროში მომკვდარა გლეხი სვინოპტრიგინი და მეორე დღეს, 17 მარტს, გვამი დასასაფლავებლად გაუგზავნიათ. თან მისდევდა პოლიციის დაბალი მოხელე კრავჩუკი. გზაში ხალხი დახვედრია და შეუჩერებია, არ შეიძლება დამარხვა, ვიდრე ექიმი არ გასინჯავს გვამს და სიკვდილის მიზეზს არ შეამოწმებსო. ოლქის უფროსი მისულა და ხალხისთვის უბრძანებია დაიშალენითო. ხალხს შეუჩივლია, რომ საპატიმროში პოლიციელნი სცემენ შეპყრობილთ და ეს მკვდარიც მათი მსხვერპლიაო. ამისათვის ხალხი თხოულობდა—ექიმს შეემოწმებინა მიცვალებულის გვამი. ოლქის უფროსს არ შეუწყნარებია თხოვნა. მაშინ ხალხი საპატიმროს დასცემია, დაულეწ-დაუნგრევია და პატიმრები გაუნთავისუფლებია. ამის გამო პასუხის გებაში მიცემული იყო 7 კაცი, შვიდივე რუსი. საქმე გაირჩა 13 აგვისტოს ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოში. პროკურორმა ერთის ბრალდებულის გამტყუნება არ ინდომა. სხვებსაც პროკურორი ძალიან სუსტად ამტყუნებდა. სასამართლომ ყველა ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა ერთის წლიდგან ორ წლამდე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აგვისტო.

**ლონდონი.** ლონდონის ბანკმა ასწია დისკონტი 3-დგან 4%-მდე.

**ჰააგა.** სამედიატორო სასამართლოს სხდომაზე ვენეცუელას საქმის გამო, მედიატორის მურავიოვის მონაწილეობით, ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, სხდომა უნდა გადიდოს, თუმცა საწინააღმდეგო არა მაქვს-რა, რომ მოლაპარაკება ეხლავე დაიწყოსო. ვენეცუელასწარმომადგენელი არ დაეთანხმა. მურავიოვმა სხდომა შესწყვიტა.

**სტამბოლი.** აქ გავრცელებული ხმა, ვითომც ადრიანოპოლში საშინელი ამბები ხდება, არა მტკიცდება. ვაჭრობა ეცემა იმ შემაშფოთებელ ამბის გამო, ვითომც ოსმალეთმა ულტიმატუმი გაუგზავნა ბულგარიას და ვითომც მოსალოდნელია ომი დაიწყოს.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს ამ დღეებში მინისტრი დელკასე მოხსენებას წარუდგენს, რომ საფრანგეთის ნავოსანთა ჯარი, რომელიც ამ ჟამად აღმოსავლეთის წყლებზე არის, უნდა გაძლიერდესო.

**კლერმონ-ფერრანი.** ჯარის ვარჯიშობის დროს უფროს ჯარის კაცებს ვიღამაც რამდენჯერმე თოფი ესროლა. დაჭრილი არავინ არის, გამოძიება სწარმოებს.

**ვენა.** ინგლისის მეფე ლონდონს გაემგზავრა მსწრაფლ სამეფო მატარებლით. იმპერატორმა სადგურამდე მიაცილა. მეფენი ერთმანერთს გულ-ღმობიერად გამოეთხოვნენ. ინგლისის მეფეს გოლუხოვსკი სადარბაზოდ მიუღია.

**სტამბოლი.** გემი Васану 18 აგვისტოს ბურგასის ახლო აფეთქდა. ამბობენ, კაპიტანს გარდა 26 კაცია მოკლულიო. რადგანაც გემი 19 აგვისტოს უნდა მოსულიყო, ჰფიქრობენ, რომ გემი აქაურ ნავთსადგურში უნდა აფეთქებულიყოს, ხონთქრის ტახტზე ასვლის დღესასწაულის დროს.

**ვენა.** „Neue Freie Presse“-ს ატყობინებენ სოფიიდან, რომ ის ოფიცრები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ მეფე-დედოფლის დახოცვაში, ეხლა მტკიცედ თხოულობენ, რომ შეთქმულები, ჯარის ღირსების აღსადგენად, სამხედრო სამართალს მიეცნენ და კანონიერად დასჯილ იქმნანო; წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიცრები ჯგუფობით მიატოვებენ სამსახურს.

**პორტ-არტური.** იმ დღეს, როდესაც გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი ხელმწიფის მოადგილედ დაბრუნდება ვლადივოსტოკიდგან, მოქალაქეებმა გადასწყვიტეს ორი სტიპენდია დააარსონ მის სახელზე, რადგანაც ყველა სასწავლებლებლები მთელს ოლქში მხოლოდ იმის ინიციატივითა და დაუცხრომელ მოქმედებით დაარსდა. ერთი სტიპენდია ვაჟისათვის იქნება, რომელიც რეალურ სასწავლებელს გაათავებს, ხოლო მეორე—ქალისათვის, რომელიც დედათა გიმნაზიაში დაამთავრებს სწავლას. ჯერ 2,000 მანეთია შეგროვილი.

22 აგვისტო

**პეტერბურგი.** დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჯანმრთელობაში გასულ დღე და ღამეს განსაკუთრებული ცვლილება არა მომხდარა-რა. გულის ცემა წესიერი აქვს: ტემპერატურა ზომიერი; მადა კარგი აქვს და კარგადაც სძინავს.

რადგანაც შინაგან საქმეთა მინისტრი ფონ-პლევე რამდენისამე ხნით პეტერბურგიდგან წავიდა, საპოლიციო დეპარტამენტის მიმდინარე საქმეთა გამგეობა გადასცა თავისს ამხანაგს ფონ-ვალს, ხოლო სხვა საქმეთა გამგეობა—თავისს მეორე ამხანაგს დურნოვოს.

**მოსკოვი,** მოკლული ახალგაზდა კაცი, რომლის გვამიც კალათით გაგზავნეს სადგურ ბრესტს, ვილნოს მემამულეა, გვარად ლომაშევსკი.

**მონტელიმარი.** ლუბე 20 აგვისტოს პარიჟს გაემგზავრა.

**სოფია,** მთავარმა დაიბარა ექსინოგრასს გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრები, რათა გაიცნოს საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა.

შინაგან საქმეთა მინისტრი მტკიცედ თხოულობს საერო კრების დაუყოვნებლივ დათხოვნასა და ახალის არჩევნების დანიშვნას, რათა შეადგინოს პალატა მთავრობის მომხრეთაგან. ჰფიქრობენ, რომ ერთად-ერთი ღსნა აწინდელ საქმეთა სამძიმო მდგომარეობიდგან თავის დაღწევისა იქნებოდა საკოალიციო სამინისტროს მოწვევა ქვეყნის მმართველადაო.

**ბელგრადი.** საფრანგეთში მყოფმა სერბიელმა პოლკოვნიკმა ტომაშევიჩმა დუელში გამოიწვია გაზ. „მატინ“-ის რედაქტორი ჟიფფერი, სერბიელ ოფიცერთა შეურაცხყოფისათვის.

მაკედონიაში, სოფ. ვევჩანს, ოსმალოს ჯარის-კაცებმა ორი მღვდელი ჩამოარჩვეს; ერთს პერეჩელს მღვდელსაც ორივე ყური მოსჭრეს.

**კლერმონ-ფერრანი.** ზოგიერთ გაზეთის-მიერ ნაუწყები ცნობა, ვითომც ოფიცრების მოკვლა განეზრახოთ, მართალი არაა.

**სტამბოლი.** გუშინდელ დარბაზობაზედ, რომელზედაც სულთანმა 10 არამუსულმანი სასულიერო კაცი მიიღო, მსოფლიო პატრიარქმა ამათის სახელით მიულოცა სულთანს ტახტზედ ასვლის წლის თავი. სულთანმა უთხრა,—ჩემი საზრუნავი მუდამ ის იყო და არის, რომ ყველა ჩემი ქვეშევრდომი კეთილად სცხოვრობდეს, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა. მსოფლიო პატრიარქის მისალოც სიტყვის პასუხად, რომელშიაც მან გაჰკიცხა მეამბოხეთა მოქმედება, სულთანმა სთქვა: „ზოგიერთ პროვინციაში დაწყებული მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა უნდა მიეწეროს გარეშე კაცთა წაქეზებას; იმედი მაქვს მოძრაობა მალე ჩაქრება და ვწუხვარ, რომ რამდენმამე ჯარის-კაცმა ძალ-მომრეობას მიჰმართეს, მაგრამ ამას ჩემის ბრძანებით არ სჩადიან. ჩემი ნატვრაა ქვეშევრდომთა ბედნიერებისა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. სულთანმა მიანდო დამსწრე სასულიერო კაცებს,—აუწყოს თავიანთ ერთმორწმუნეებს მათდამი მისი მამობრივი გრძნობანი. „ღმერთი იყოს მოწამე ჩემის სიტყვების გულწრფელობისაო“, - უბრძანა სულთანმა ბულგარიის ეგზარხოსსა და სთქვა, იმედია, ამ სიტყვებს გადასცემთ თქვენს ერთმორწმუნეებსაო. სულთანმა აღუთქვა პატრიარქს მეც დაგეხმარებით შემოწირულებით რუმელიის პროვინციებში დაზარალებულ ბერძენთა სასარგებლოდაო. სულთანის ნაბრძანები დამსწრეთ დიდად მოეწონათ.

**ბუდაპეშტი.** გემი „Backany“ მოვიდა ბურგასს. აფეთქების მიზეზი ჯერ არ იციან. ყოველ შემთხვევაში აფეთქება ქვაბის გაფუჭებისაგან არ მომხდარა; არც ქვაბი და არც მანქანები არ დაზიანებულან.

**ათინა.** გემით მოყვანილი მეზღვაური შავი ჭირით ავადმყოფი არ აღმოჩნდა.

### „ივერიის“ ფოსტა.

**ძ. ვ—ზი.** კ. ალაზნისპირელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. წინანდელ წერილი დაბეჭვდაც ვერ იყო სახეირო. ველით სხვებს.

**სოხუმი.** ნოქართაგანს. საგანი საკმაოდ გამოირკვა. კმარა.

**გ. მ—ლს.** თქვენი ლექსი, რომელსაც სათაურად სამი ვარსკვლავი აქვს, არ დაიბეჭდება.

**ქუთაისი. ნ. მ—ლი.** ეგ გარემოება უკვე გვქონდა მოხსენებული გაზეთში. ახლა სხვაფრივ უნდა მოევლოს როგორმე მაგ მწვავე და საჭირბოროტო საქმეს.

### პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 19

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100½ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅛ მყიდ. |
| ბილ. 1864 წ. | 444 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 336 წვ. გაყიდ |
| % გირავნ. მოგ ფურც. სახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 289 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 94½ |
| 4½% ობლიგაც იმავე ასზოგადოებისა. | — |
| 4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 92½ გაყ. |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91[illegible] წვ. გაყ. |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9226 |
| აქციები. ,, ,, ,, » | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 36.00 წვ. გაყ. |
| ,, ბაქო ნავთის საზოგად. | 375 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 186 წვ. გაყ. |

### გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № † დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, შაბათობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსი—4 მან, უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

### ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა | 11 კ. |
| 2 „ | 8 კ. |
| 3 „ | 6 კ. |
| სუკი | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 10 კ. |
| კამეჩისა | 7 კ. |
| ღორისა | |
| 1 ხარისხის (ზაკატლეტე) | 11 კ. |
| 2 „ (ბარძაყი) | 10 კ. |
| 3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) | 8 კ. |

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა | 5 კ. |
| 2 „ | 3½ |
| 3 „ | 3 კ. |

### მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

**კარეტა** ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი;

| | |
|---|---|
| 1 კლასით | 15 მან. |
| 2 „ | 10 „ |
| 3 „ | 5 „ |

**ლინეიკა** გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 ადგილისა | 6 მ. 80 კ. |
| 2 „ | 4 „ 80 „ |


## განცხადებანი

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფ. 5 კ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „მურია“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. სულით ავადმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.
16. მეფე ლამსა, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. ცხვრის უვაგილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25, მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. ლინჰარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. შიო—თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. ცხენის წურბელა, მოთხრობ ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31, მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. როგორ ცხოვრებენ ჩინელები, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ 10 კაპ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფასი 10 კ.
41. ალბომი «ქართველთა ტომი», ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
72. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ф. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხურდა ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯითაც სამ სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: Тифлисъ, Редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили.

ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—4)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში, 26 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, კვალად საჯარო ვაჭრობა იქმნება, რათა გაიცეს იჯარით ქალაქის თავისუფალი მიწა, ნაჭრებად დაყოფილი სამოსახლოდ ახალ-ნაძალადევში. მსურველთ ვაჭრობამდე უნდა წარადგინონ პოლიციის მოწმობა, რომ იჯარის მსურველი მოხარჯეთა წოდებას ეკუთვნის და ქ. ტფილისზეა მიწერილი. ვინც სხვა წოდებისაა, იმათ უნდა წარმოადგინონ მოწმობა: რუსეთის ქვეშევრდომთ იმის შესახებ, რომ 5 წელიწადზედ მეტსა სცხოვრობენ ტფილისში და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთ—რომ 10 წელიწადზედ მეტს აქა სცხოვრობენ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება მოეპოვებათ; იმათაც არა აქვთ აგრეთვე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლება, ვის ცოლსა ანუ შვილებს ასეთი ქონება მოეპოვება. დასასრულ, მიწა იჯარით არ მიეცემა იმას, ვისაც იჯარით აღებული აქვს სხვა ნაჭერი ქალაქის მამულისა. (2—6—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.